ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2024 წლის 30 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 19 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა სამეგრელოში და კერძოდ ხობის მუნიციპალიტეტში სტიქიის (ქარის) შედეგად მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა, მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად აღრიცხეს დაზარალებული მოსახლეობის რიცხოვნება და ზარალის ოდენობა, რომლებსაც შესაბამისი დახმარება გაეწეოდათ.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი);

2. ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლი 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც განაცხადა, რომ ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ ესწრებოდა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმდომარე (ვ. ქანთარია), გამომდინარე აქედან დღის წესრიგით წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით კომისიის დასკვნებს საკრებულოს წევრებს გააცნობდა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე (მ. თათარიშვილი) და სთხოვა მას, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხეთის და ლარჩვას უბანში არსებული ხეთისა და კინჩხურას წყლის მაგისტრალი, რომელსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია და მიღებულ იქნა ექსპლოატაციაში. მისი მოვლა-შენახვისა და ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მაგისტრალი თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაეცეს შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“, რაზედაც წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N19 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი). წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია დაინტერესებული პირის განცხადება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების (ს/კ 45.12.27.007), საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე თავისუფალი 12,01 კვ.მ ფართის, იჯარით აღების თაობაზე. მერიის მხრიდან შესწავლილ იქნა შემოსული განცხადება და მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნილი ფართი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაიცეს აუქციონის წესით, ორი წლის ვადით, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ბ. თამლიანი - გამომსვლელი დაინტერესდა, შპს ,,ხობი დასუფთავება და განათებისთვის“, აღნიშნული ქონების მოვლა-შენახვის მიზნით გადაცემის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა იყო თუ არა გათვალისწინებული მიმდინარე წელს?

მ. რუხაძე - განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის არ საჭიროებდა თანხის გათვალისწინებას, გამომდინარე იქიდან, რომ, სამუშაოების შემსრულებელი პასუხისმგებელი იყო, ერთი წლის განმავლობაში მის მოვლა-შენახვაზე, ხოლო მომავალი წლიდან გათვალისწინებული იქნებოდა შესაბამისი თანხა.

კითხვა პასუხის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის მხრიდან შემენილ იქნა საქართველოს სახელმწიფო დროშა და სადროშე ბოძი, რომლის შემენისა და სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 80447,24 ლარი. მისი მოვლა-შენახვის მიზნით მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაეცეს შპს ,,ხობი დასუფთავება და განათებას", რაზედაც მერიის შესაბამის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლი 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი„ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლი 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით,

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ როგორც მერიის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათშია ნახსენები, პროგრამის მე-13 მუხლის მე-16 ქვეპუნქტიდან „სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) არაუმეტეს 6 თვისა, მომართვიანობიდან და მათი ცხოვრების პირობების უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე ამოღებულ იქნას წინადადება „არაუმეტეს 6 თვისა“ დანარჩენი დარჩენილიყო იგივე. აღნიშნული ცვლილებით არის პროექტი წარმოდგენილი, რომელიც მისი აზრით არასწორია, რადგანაც განსაზღვრული ვადის ამოღების შემთხვევაში, გამოდის, მერიამ განუსაზღვრელი ვადით უნდა უქირაოს საცხოვრებელი ფართი მოქალაქეს.

ნ. შუშანია - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ისედაც გაჭირვებული მოსახლეობა, რომელსაც საცხოვრებელი არა აქვს, მათი შესაბამისი ფართით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ვალდებულება იყო.

დ. ბერაია - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მოსახლეობა რომლებსაც საცხოვრისი არ გააჩნია, მათი ფართით დაკმაყოფილება მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა, რომელთა უმრავლესობაც სოციალურად დაუცველები არიან. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარკვეული დროის შემდეგ თვითონ იპოვეს საცხოვრებელი და გადავიდნენ დაქირავებული ბინიდან.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ასეთი კატეგორიის მოსახლეობას ყურადღება უნდა მიაქციონ და ბინით უზრუნველყოფაში დაეხმარონ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მთელი ცხოვრება მთავრობის ხარჯზე იქირავონ საცხოვრებელი ფართი. უნდა იზრუნონ იმაზე, თუ სადმე იყო სახელმწიფო ბალანსზე არსებული ფართი, გაერემონტებინათ და იქ გადაეყვანათ ოჯახები, თუ ასეთი ფართი გამოჩნდებოდა. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით განკარგულებაში 6 თვის ნაცვლად ჩაწერილიყო არაუმეტეს 9 თვისა.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის ქვემუხლებში: 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის დახმარების მუხლებში გამოყოფილი თანხები მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ზემოთ აღნიშნულ მუხლებში თანხის გაზრდა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ამავე პროგრამის ქვეპროგრამის მუხლების ეკონომიებიდან (55 069 ლარი), კერძოდ მცირდება: უმწეოთა სასადილოს მუხლი 26 000 ლარით. (ტენდერის შედეგად). მრავალშვილიანთა დახმარების მუხლი 4000 ლარით. უსახლკაროდ დარჩენილთათვის, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის მუხლი 3600 ლარით. სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მუხლი 10000 ლარით. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების მუხლი 2500 ლარით. ახალშობილთა ოჯახებისთვის დახმარების მუხლი 4500 ლარით. არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამის კერძოდ ძალადობის მსხვერპლი ოჯახებისთვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსების მუხლი 4469 ლარით.

შესაბამისად იზრდება შემდეგი მუხლები:

1. 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლი 18600 ლარით.
2. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ ერთჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების მუხლი 1200 ლარით.
3. სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად

საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლი 33069 ლარით.

4. სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასაკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) დახმარების მუხლი 2200 ლარით. ასევე პროგრამის მე-13 მუხლის მე-16 ქვეპუნქტიდან „სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) არაუმეტეს 6 თვისა, მომართვიანობიდან და მათი ცხოვრების პირობების უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე ამოღებულ იქნა წინადადება „არაუმეტეს 6 თვისა“, ამასთან განაცხადა, რომ ამ ჩანაწერის საერთოდ ამოღებას არ ეთანხმება და მისაღებია საკრებულოს თავმჯდომარის წინადადება ვადის 9 თვით განსაზღვრის შესახებ, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას საკრებულოს წევრების უმრავლესობა დაეთანხმა

კენჭი ეყარა სხდომის თავმჯდომარის წარმოდგენილ წინადადებას პროექტში მე-13 მუხლის მე-16 პუნქტის შემდეგი სახით ჩამოყალიბების თაობაზე: „სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან) არაუმეტეს 6 თვისა“

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

კენჭი ეყარა წარმოდგენილი განკარგულების პროექტს ცვლილების გათვალისწინებით

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ვ. ფოცხორაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N22 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. მედეა თათარიშვილი
6. დოდო გაბუნია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. აკაკი მალანია
10. ქეთევან კვირიკაშვილი
11. ბესიკ თამლიანი
12. გიორგი გვასალია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. ბექა ხარბედია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა